მანანა დარჩაშვილი •

განათლების საკითხი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტებში (2020 2021 წლების მიხედვით

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს ყველა საზოგადო სფერო კოვიდ 19-მა ახალი რეალობის წინაშე დააყენა, შექმნა გამოწვევები, მათ შორის განათლებაშიც. მართალია, ინტერნეტ სწავლება მსოფლიოსთვის სიახლეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მხოლოდ 2020 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან განხორციელდა. ონლაინ და შერეულ სწავლებაზე გადასვლით ტრადიციული სასწავლო პროცესი მასშტაბური ექსპერიმენტის პირისპირ აღმოჩნდა, ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ახალ გამოწვევას.

ნაშრომის მიზანია, ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე, საქართველოში არსებული ვითარების, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის 2020 – 2021 წლების საარჩევნო ციკლში ჩართული ძირითადი პოლიტიკური სუბიექტების განათლების საკითხისადმი დამოკიდებულების, ქართულ სინამდვილეში არსებული გამოწვევების შესწავლა.

კოვიდ-19-ით განათლების სფეროში შექმნილი რეალობიდან, საქართველოში სწავლების ახალი ფორმისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, 2020 წლის ივნისში განათლების კანონში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა, კანონმა დისტანციური სწავლება განათლების ერთ-ერთ ფორმად აღიარა.

სასწავლო პროცესში შერეული და ონლაინ სწავლების დანერგვისთვის გამოიკვეთა მთელი რიგი საჭიროებები, ინფრასტრუქტუ-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

რა და ელექტრონული რესურსები, ვირტუალური მობილობა და სხვა. შესაბამისად, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მითუმეტეს, რომ განათლების საკითხი ყოველთვის ყველა პოლიტიკური ძალისთვის წინასაარჩევნო დოკუმენტებში ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა, ამჯერადაც ინტერესს იწვევდა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, არჩევნები, პოლიტიკა, განათლება, პარტია.

შესავალი

ქართულ პოლიტიკაში განათლებას ქვეყნის განვითარების საქმეში დიდი ყურადრება ეთმობოდა, ამჟამად კი, საქართველო, მრავალი დემოკრატიული ქვეყნის მსგავსად, არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების თანამონაწილეა, რომლებიც განათლების მაღალ სტანდარტებს აწესებენ და ამასთან ქვეყნის ეკონომიკისა და თუნდაც სოციალური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად მიიჩნევა (საქართველოს მთავრობა, 2017).

შესასწავლ საკითხს აქტუალობას მატებს ის, რომ განათლების შესახებ მდგრადი განვითარების დასახული 17 მიზნიდან მე-4 მიზანშია აღნიშნული და გულისხმობს ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლების უზრუნველყოფას და ყველასთვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობას, რაც ადვილი მისაღწევი არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორად შემუშავებული განათლების პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება დასახულ მიზანთან (Chankseliani, McCowan, 2020).

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საინტერესო იმითაც იყო, რომ ის მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს, რადგან 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, I ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ნამდვილ ხმათა 50%-ზე მეტი, ეს საყურადღებო იყო, რადგან საქართველოს

პარლამენტის 150 წევრიდან 120 წევრი – პროპორციული საარჩევნო სისტემით და 30 წევრი კი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ირჩეოდა.

ეს არჩევნები განსაკუთრებული იყო იმითაც, რომ პანდემიის რთული პერიოდის მიუხედავად, პროცესი კორონავირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების დაცვით მოწესრიგებულ, მშვიდ საარჩევნო უბნებში გაიმართა.

ნაშრომში შედარებითი კვლევის მეთოდით შესწავლილი და წარმოდეგენილია პოლიტიკური პარტიების საპროგრამო, წინასაარჩევნო, ასევე ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა: როგორ აისახა არსებული ვითარება განათლების საკითხთან მიმართებაში საპარლამენტო (2020წ.) და ადგილობრივი თვითმმართველობის (2021წ.) არჩევნების ძირითადი პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტებში.

შესასწავლი საკითხის წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგიდან სავარაუდო იყო, რომ კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, პოლიტიკურ სუბიექტებს საპროგრამო დოკუმენტებში შესაბამისად იმისა, რომ საზრუნავი საზოგადოებრივი ყველა მიმართულებით და მათ შორის განათლების მიმართულებითაც ბევრი ჰქონდათ, ვრცელი დაპირებების ნუსხა ექნებოდათ, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად შეძლებდა ქვეყნის ბიუჯეტი აღნიშნულის განხორციელებას.

პოლიტიკური პარტიები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესი მეტად რთული იყო. პოლიტიკურად დაძაბულ ვითარებას, კოვიდ პანდემიის პროცესი ერთვოდა. კოვიდ-19-ის გლობალურ პანდემიად გამოცხადების შემდეგ, რიგ სახელმწიფოებში დაგეგმილი არჩევნები გადადო, ზოგან გარკვეული შეზღუდვებით ჩატარდა. საქართველოს ხელისუფლებამ, მიუხედავად ვირუსის გავრცელების

რისკებისა, მორიგი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გადაწ-ყვეტილება მიიღო.

საპარლამენტო არჩევნებს წინ საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა უძღვოდა, საარჩევნო სისტემის ცვლილებით, რომელიც ცხარე დისკუსიების შედეგი იყო (მმართველი პარტია ოპოზიციას-თან, უცხოელ დიპლომატებთან შუამავლობით, აღნიშნულ რეფორ-მაზე ოფიციალურ მოლაპარაკებებს 2019 წლის ნოემბრიდან მარ-თავდა). ხელისუფლებამ და ოპოზიციურმა პარტიებმა შეთანხმებას მიღწიეს, საკითხი ითვალისწინებდა 150 წევრიანი პარლამენტის 120 წევრის პროპორციული, ხოლო 30-ის მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩევას. საარჩევნო ბარიერი, არჩევნებში დამოუკიდ-ებლად მონაწილე პოლიტიკურ პარტიებისთვის 5%-დან 1%-მდე შემცირდა. აღნიშნული კი ცალსახად, პლურალისტული დემოკრა-ტიისკენ წინგადადგმული ნაბიჯად შეფასდა (საქართველოს პარ-ლამენტი, 2020).

ამასთან, საზოგადოების მუდმივი ინტერესის სფეროში მყოფი საკითხების შესახებ მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საარჩევნო რეფორმის შედეგად. კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, გენდერული კვოტა, პოლიტიკური დაფინანსების წესი და სხვა, რაც უშუალოდ პოლიტიკურ სუბიექტებს ეხებოდათ.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები უჩვეულო პირობებში ჩატარდა, პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათ-ლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. შესაბამისად სა-ინტერესო იყო წამყვანი პოლიტიკური პარტიების გეგმები არსებუ-ლი პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდებოდა სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა (ამომრჩევლე-ბის ვებ-გვერდი, 2020).

მმართველი პარტიის - „**ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს** პასუხი აღნიშნულ საკითხზე უფრო ზოგადი იყო და არა დაკონკრეტებული - არსებულ ვითარებაზე გათვლილი, მათი ძირითადი დამოკიდებულება გამოხატული იყო სამომავლო გეგმებით ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. განათლებისა და მეცნიერების სფეროში ფუნდამენტური ცვლილებების განსახორციელებლად, ისინი მომდევნო 4 წლის განმავლობაში ქმედითი ნაბიჯების გადადგმას გეგმავდნენ. კერძოდ, საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების, ასევევ ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდას; მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდას; პროფესიული განათლების საბიუჯეტო დაფინანსების, უმაღლესი განათლების დაფინანსების გაზრდას და ამავდროულად დაფინანსების კონცეპტუალურად ახალი მოდელის ჩამოყალიბებას; ისინი მოიაზრებდნენ რომ საქართველოსთვის, როგორც Erasmus+ პროგრამული ქვეყნისთვის, ხელმისაწვდომი გახდებოდა ამ პროგრამის ყველა კომპონენტი; გაიზრდებოდა სახელმწიფოს დაფინანსებით სამეცნიერო საგრანტო კონკურსების რაოდენობა; მეტი ხელშეწყობა ექნებოდა საზღვარგარეთ მოღვაწე აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ქართულ სამეცნიერო სივრცესთან თანამშრომლობის; ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და თერაპიის ცენტრი კი ჩამოყალიბდებოდა, როგორც უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტის მქონე მეცნიერებისა და განათლების კერა.

მათ ვრცელ წინასაარჩევო პროგრამაში აღნიშნული იყო 2012 წლიდან განათლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებაც. ასევე სამომავლო გეგმებიც, რადგან განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. დაგეგმილი ჰქონდათ ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზ-

ნების შესაბამისად, ბავშვების, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამომუშავებასთან ერთად, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი წინაპირობა ადამიანური კაპიტალის განვითარებაა („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, 2020).

აქვე დავძენთ, რომ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეფასდა.

„ქართული ოცნების“ ხედვა განათლების საკითხის შესახებ 2012, 2016. 2020 საპარლამენტო არჩევნების მიხედვით (აღნიშნული, ბოლო 2020 წლის საპარლამენტო წინასაარჩევნო დაპირებების მონაცემებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლისთვის, ფაქტებით დასტურდება სხვადასხვა სასიკეთო მაჩვენებელი/ინიციატივა განათლების მიმართულებით, გადავწყვიტეთ შედარებისთვის, წარმოდგენილი სუბიექტების 2012 და 2016 წლების წინასაარჩევნო მონაცემებიც წარმოგვედგინა, რომელიც დაპირების უფრო ვრცელ ჩამონათვალს მოიცავდა. წყარო: partiebi.ge, ცხრილი #1)

ცხრილი #1.



2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციურ ბლოკში **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“** 5 სუბიექტი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „პროგრესი და თავისუფლება“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკური პარტია“ და „ევროპელი დემოკრატები“) იყო გაერთიანებული, თუმცა მხოლოდ სამი პარტიის კანდიდატები იყრიდნენ კენჭს მაჟორიტარულ არჩევნებში: „ნაციონალური მოძრაობიდან” - 20; პარტიიდან „პროგრესი და თავისუფლება“ - 4; და 1 კანდიდატი წარმოადგენდა პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“ განათლების საკითხის შესახებ სახელმწიფო ვალდებულებაზე მიუთითებდა, კერძოდ, რომ საჭირო იყო განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების შექმნა. ამ მიზნით, კი უპირველესი ამოცანა ინტერნეტიზაციის პრობლემის გადაჭრა იყო, ნებისმიერ ქალაქსა და სოფელში. ამასთან, ინტერნეტის არსებობის პირობებში ყველა მოსწავლესა და მასწავლებლისთვის ინტერნეტის მიზნობრივი ვაუჩერის გადაცემა, რათა ფინანსური წნეხი არ დასწოლოდა ოჯახებს. მოკვლევის საფუძველზე უნდა გარკვეულიყო, რამდენ მოსწავლესა და მასწავლებელს არ ჰქონდა შესაბამისი ტექნიკა და სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო მათი მიწოდება და დროებით სარგებლობაში გადაცემა. იმავდროულად, აუცილებელი

იყო მასწავლებელთა გადამზადება იმისთვის, რომ ონლაინ-სწავ-ლება ყოფილიყო ხარისხიანი და ინტერაქტიური. რადგან დისტან-ციური სწავლება თავის თავში მხოლოდ ონლაინ-სწავლებას არ გუ-ლისხმობდა, ამიტომაც ისინი თვლიდნენ, რომ მნიშვნელოვანი იყო ფინასური, მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსების მობი-ლიზება, საგანმანათლებლო პორტალების შექმნა და დისტანციური სწავლების საჭიროებისას მათი გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“** თავის პროგრამაში (ვრცელ ვერსიაში) საქართველოს რეგიონში დასავლური განათლების თანამედროვე და ტექნოლოგი-ური საგანმანათლებლო ცენტრად აღიქვამს. დეტალურად განიხი-ლავენ განათლებასთან მიმართებაში არსებულ ყველა საკითხს და დაფინანსების გაზრდის, ხშირ შემთხვევაში გაორმაგების საჭირო-ებაზე მიუთითებენ სხვადასხვა მიმართულებით („ერთიანი ნაცი-ონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“, 2020).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განათლების საკითხის შესახებ 2012, 2016. 2020 საპარლამენტო არჩევნებში (წყარო partiebi.ge, ცხრილი #2).

ცხრილი #2



საყურადღებოა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ორივე ძირითადმა სუბიექტმა „**ქართული ოცნება - დემოკრატიუ-ლი საქართველო**“ და **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთი-ანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“** ცალკე ერთეულად გამქვეყ-ნებულ, საკმაოდ მოცულობით პროგრამებში დეტალურად გაწერეს განათლების საკითხისადმი მათი დამოკიდებულება (ცხრილი #3).

ცხრილი #3.

განათლების საკითხი 2020 წლის წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტების მიხედვით

	Series 1	Series 2	Series 3
"ქართული ი	1497		
"ერთიანი ნა	623		

To resize chart data range, drag lower right corner of range.

საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერის 2021 წლის არჩევნები

ქალაქ თბილისის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევენების პირველი ტურის შედეგებით, საქართველოს ცენტრალური საარ-ჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით (მონაწილეობდა სულ 16 კანდიდატი), საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილი-სის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურში მონა-წილეობდნენ №5 ნიკანორ მელია და №41 კახა კალაძე, რომელიც შემდეგ 2021 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა და №41 კახა კალაძემ გაიმარჯვა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ქალაქ თბილისი მერობის კანდედატებიდან საპროგრამო დოკუმენ-ტების შესწავლისას გავითვალესწინეთ წინასაარჩევნო გარემო, სა-

ზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, არჩევნების პირველი და მეორე ტურის შედეგები და შესაბამისად, შევარჩიეთ შემდეგი მერობის კანდიდატები: 1. მმართველი გუნდის კანდიდატის კახა კალაძე, 2. გავითვალისწინეთ, როგორც პირველი ტურის შედგებიდან გამომდინარე და ამასთან მთავარი ოპოზიციური ძალის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ნიკა მელია, რომელმაც ჯერ კიდევ 23 ივლისს განაცხადა, რომ იგი ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დედაქალაქის მერობისთვის იბრძოლებდა. მისი განცხადებით, ძალებს პოლიტიკური მოძრაობა „დროას“ დამფუძნებელ ელენე ხოშტარიასთან აერთიანებდა, რომელიც თავის მხრივ დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად მოიაზრებოდა. ამასთან, საარჩევნო ოლქების ნაწილში ერთიანი კანდიდატების დაყენებაზე შეთანხმებულები იყვნენ "ნაციონალური მოძრაობა", "ევროპული საქართველო", "დროა" და "გირჩი — მეტი თავისუფლება". ნ. მელიასთვის ეს ნაბიჯი კოალიციური მმართველობის გზა იყო და ფიქრობდა, რომ „განვითარების, კეთილდღეობის და კორუფციის დამარცხების ყველაზე სწორი, უებარი და გამოცდილი საშუალება“ იყო (სივილ ჯორჯია, 2021). 3. საჭიროდ მივიჩნიეთ სწორედ წინასაარჩევნო 2021 წელს (18 თებერვალი) საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას კანდიდატურაც, როგორც მერობის კანდიდატი (მან ხმათა 9.415% მიიღო). მისი თქმით, თანამდებობიდან გადადგა, „გუნდთან შეუთანხმებლობი გამო“, საკითხი კი ნიკა მელიას დაკავებას ეხებოდა, როგორც თავად განმარტა მისი პოზიციით ერთი კონკრეტული ადამიანის მიმართ თუნდაც კანონიერი მართლმსაჯულებით განსაზღვრული ღონისძიების აღსრულება, თუ ეს რისკს უქმნიდა ქვეყნის მოქალაქეების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან ქვეყანაში ქმნის პოლიტიკური ესკალაციის შესაძლებლობას, არის მიუღებელი. განსაკუთრებით, კი როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა და პოლარიზაცია თვითონ ქვეყნის განვითარებისა და შემდგომ ქვეყნის უსაფრთხოების, განვითარების

და მომავლის რისკებს ქმნის, მითუმეტეს გლობალური პანდემიის ბრძოლის, მთელი რიგი გამოწვევების, სირთულეების ვითარებაში (სივილ ჯორჯია, 2021).

წინასაარჩევნო პერიოდში საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, რომ „კანდიდატების უმრავლესობას არჩევნებამდე ერთი თვით ადრეც არ გამოუქვეყნებიათ პროგრამები“, თუმცა ისინი სხვადასხვა შეხვედრების დროს ასევე ვებ-გვერზე partiebi.ge აკეთებდნენ განაცხადს. სადაც ისინი მოკლე პსუხებით შემოიფარგლებოდნენ.

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ კანდიდატი კახა კალაძე, რომლის წინასაარჩევნო სლოგანი იყო “მეტი სიცოცხლე ყველა უბანში” თავის გუნდთან ერთად აღნიშნავდა მრავალშვილიანი და შშმ პირების სწავლის დაფინანსებაზე, რომ მრავალშვილიანი ოჯახების წევრი სტუდენტებისა და შშმ სტუდენტების უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდებოდა თბილისში რეგისტრირებული ზემოაღნიშნული პირების სწავლის დაფინანსება ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ მიმართულებით ყოველწლიურად 600-ზე მეტი სტუდენტი დაფინანსდებოდა. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკასთან მიმართებაში კ. კალაძე 10 მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობას გეგმავდა მთელი ქალაქის მასშტაბით, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

ნიკა მელია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი - ძალა ერთობაშია“ აცხადბდა, რომ მისი გუნდის მიზანია, თბილისი გახდეს განათლების ექსპორტიორი ქალაქი.

გიორგი გახარია - პარტია „საქართველოსთვის“ მიიჩნევდა, რომ კომპეტენციის შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხარისხიანი და შეუზღუდავი წვდომა. ამ მხრივ, პრიორიტეტული იყო საბავშვო ბაღები პრინციპით - "არცერთი ბავშვი ბაღის გარეშე" და მიზნად ისახავდა მომ-

დევნო 4 წლის განმავლობაში ბაღების რაოდენობის ზრდას, მათ შორის, საჯარო-კერძო თანამშრომლობის მოდელის დანერგვით. ასევე, მას ძალზედ მნიშვნელოვანად მიაჩნადა ურბანულად სწრაფად მზარდ რაიონებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სკოლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საჭიროდ თვლიდა, რომ განათლების სისტემა, რომელიც უნდა იყოს მოქნილი ადმინისტრირებისა და მართვის ნაწილში, უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და ინკლუზიური, რომელიც ხელს შეუწყობდა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარებას (ამომრჩევლების ვებგვერდი, 2021).

საქართველოსთვის თანამედროვე ეტაპზე, განათლების საკითხთთან მიმართებაში, მთავარი ამოცანაა - მდგრადი განვითარების მეოთხე მიზნი - **განთლების მთავარი აზრი საყოველთაოობაა და განათლების ყველა დონეს მოიცავს – ადრეული ასაკიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით,** რაც გამოწვევაა მთელი მსოფლიოსათვის, განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი, სადაც საყოვეთაო კეთილდღეობის მაჩვენებელი მაღალია. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნისთვის „განათლება 2030“ სამოქმედო ჩარჩოს მიხედვით მნიშვნელოვანი საკითხია, საყურადღებოა ისიც, რომ საკითხის მოგვარებას ხელს უწყობს იუნესკოს პასუხისმგებელობა საერთაშორისო თანამეგობრობის კოორდინაცია - მონიტორინგი. შესაბამისად, საკითხის მოგვარება მოითხოვს საერთაშორისო დონის (ყველა ხელისუფლებისა და საზოგადოების) პოლიტიკურ ნებას თანამშრომლობაზე რათა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც არსებულ გამოწვევებს მოაგვარებს.

დასკვნა

2020 წლის საპარლამენტო და 2021 ადგილობრივი თვითმმართველობის, თბილისის მერის წინასაარჩევნო პერიოდში არსებული ვითარების გამო (პანდემიის ვითარება, ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების გაკეთება, ასევე საზოგადოების პოლარიზების წახალისება) სოციალურ მედიაში დიდი ხმაური იყო. პოლიტიკური პარტიების, მაჟორიტარი და შემდეგ მერობის კანდიდატების, ოფიციალური საარჩევნო კამპანიისას ყურადღებას იქცევდა საარჩევნო პროგრამები, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადაჭარბებულად წარმოაჩენდა მათ შესაძლებლობებს ამომრჩევლთა მოზიდვის მიზნით. თუმცა, სხვა წინასაარჩევნო პერიოდებთან შედარებით საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის (ვებ-გვერდზე partiebi.ge) ფარგლებში მათი მოსაზრებები განათლების შესახებ უფრო ზომიერი განცხადებებით იყო წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამომრჩევლების ვებ-გვერდი, partiebi.ge, 2020, შეადარეთ პოლიტიკური პროგრამები თემატურად, https://partiebi.ge/2020/geo/compeare?party1=10&party2=9&party3=&theme=71, ნანახია 10.01.2022

ამომრჩევლების ვებ-გვერდი partiebi.ge, 2021, შეადარეთ პოლიტიკური პროგრამები თემატურად, https://partiebi.ge/2021/geo/compeare?party1=8&party2=13&party3=10&theme=107, ნანახია 13. 01. 2023

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“, 2020, მთავარი გეგმა, მდიდარი საქართველო ძლიერი ოჯახი, https://droa.ge/wp-content/uploads/2020/10/5.pdf, ნანახია 05.12. 2020

პოლიტიკა, 2021, გიორგი გახარიას პარტიამ პოლიტიკური პროგრამა წარადგინა, https://formulanews.ge/News/52233, ნანახია 11. 03. 2023

საქართველოს მთავრობა, (2017), „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, 2016 – 2020 სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში, თბილისი.

საქართველოს პარლამენტი, 2020, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თავი XX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, მუხლი 196

სივილ ჯორჯია, 2021, გიორგი გახარია თანამდებობიდან გადადგა, https://civil.ge/ka/archives/398536, ნანახია 10. 02. 2023

სივილ ჯორჯია, 2021, ნიკა მელია მერობისთვის იბრძოლებს, https://civil.ge/ka/archives/433836, ნანახია 10. 12. 2022

Chankseliani, m., McCowan, T., 2020, Higher education and the sustainable development goals, Springer Nature B.V. 2020 https://link.springer.com/article/10.1007/s10734-020-00652-w, ნანახია 10.09. 2022

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, 2020, საარჩევნო პროგრა 2020.

https://gd.ge/uploads/programs/b5045f9c70101fae8.pdf, ნანახია 10.12. 2020

Manana Darchashvili

The Issue of Education in the Pre-election Program Documents of Political Parties (2020 - 2021)

Abstract

All public spheres of the modern world have faced the new Covid-19 reality, which creates problems for all fields, including the field of education. Even though online education was not a new phenomenon in the world, it was implemented in the Georgian educational space only in the spring semester of 2020. With the transition to online and hybrid learning, the traditional educational process faced a large-scale experiment, the country was not ready for a new challenge.

The paper aims to study the current situation in Georgia, and the attitude of the main political entities involved in the 2020-2021 election cycle of the parliamentary and local self-governments concerning the issue of education. Based on a review of existing official documents representing the Georgian reality and analyzing the existing challenges that the country faced during the pandemic.

Because of its relevance, the mentioned topic has a public character. Due to the reality created by Covid-19 in the field of education, to create a legal basis for a new form of education in Georgia, in June 2020, there was made a certain amendment in the Law on Education. Thus the Law on Education recognized distance learning as one of the forms of education.

Some requirements have been identified, such as infrastructure and electronic resources, virtual mobility, and others for the implementation of blended and online learning in the educational process. Accordingly, due to the urgency of the issue, the issue of education has always occupied an important place in the pre-election documents for all political forces. As for the mentioned period, it has become one of the main challenges in the country, including in party documents.

Keywords: Georgia, Elections, Politics, Education, Party.